



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49. 49230555

თარიღი:24/02/2023

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 26**

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ**

**2022 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ანგარიში 2022 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის ~ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ანგარიში 2022 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2022 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



## ანგარიში

### წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2022 წლის მესამე და მეოთხე კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მუნიციპალური ქონების მონაცემთა ბაზის შექმნას და განახლებას; სახელმწიფო საკუთრების ქონების მუნიციპალურ საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით საჭირო დოკუმენტაციის მომზადებაზე ზედამხედველობას, წინადადებებისა და საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას მუნიციპალური ქონების შექმნის, შეძენის, პრივატიზების ან სარგებლობაში გადაცემის საკითხებზე; რეკომენდაციების შემუშავებას მუნიციპალური ქონების პრივატიზებასა და სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით; მუნიციპალური ქონების საპრივატიზებო ნუსხის პროექტის მომზადებას; საპრივატიზაციო ან სარგებლობით გადასაცემი ქონების დოკუმენტაციის მომზადებას; საჯარო და/ან ელექტრონული აუქციონისათვის სათანადო დოკუმენტაციის მომზადებას; შეიმუშავებს წინადადებებს მუნიციპალიტეტის ძირითად (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების შესახებ, ახორციელებს საერთაშორისო და ადგილობრივ დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობასა და დაფინანსების შესაძლებლობების მოძიებას, უზრუნველყოფს ადგილობრივი და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის მიღებას, საგრანტო წინადადებების და მასთან დაკავშირებული სათანადო დოკუმენტაციის მომზადებას, მონიტორინგს და შეფასებას, ახორციელებს ასევე კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

2022 წლის მესამე და მეოთხე კვარტალში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ შესრულებული იქნა შემდეგი სამუშაოები:

სამსახურის მიერ მომზადებული დოკუმენტაციის საფუძველზე მომზადებული დოკუმენტაციის საფუძველზე არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის განხორციელების მიზნით 6 მოქალაქეს გადაეცა ფართობი საკუთრებაში და გაიცა შესაბამისი საკუთრების მოწმობა.

სამსახურის მიერ მომზადებული დოკუმენტაციის საფუძველზე სახელმწიფოდან, დამატებითი ქონების სახით გადმოგვეცა შემდეგი ქონება:

ქალაქ წყალტუბოში ჭავჭავაძისა და რუსთაველის ქუჩების კვეთზე მდებარე უძრავი ქონება ს.კ 29.08.33.249

ქალაქ წყალტუბოში ე. ნინოშვილის I შესახვევი N1-ში მდებარე 1368 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა ს/კ 29.08.31.525

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევში მდებარე 92 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ს/კ 29.11.35.424

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმბრაში მდებარე 2718 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირში მდებარე 335 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი

სამსახურის მიერ მომზადებული დოკუმენტაციის საფუძველზე სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცა შემდეგი ქონება:

ა (ა)იპ სარეაბილიტაციო ცენტრ „ჩვენს სახლს“ უსასყიდლო უზუფრუქტიდ ფორმით გადაეცა ქალაქ წყალტუბოში 9 აპრილის ქუჩა პირველი შესახვევ N2-ში მდებარე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებაში განთავსებულული 164,8 კვ.მ ფართი (ს/კ 29.08.37.055).

სსიპ სსურსათის ეროვნულ სააგენტოს უსასყიდლო უზუფრუქტიდ ფორმით გადაეცა ქალაქ წყალტუბოში რუსთაველის ქუჩა N25-ში მდებარე მერიის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე განთავსებული 38.4 კვ.მ ფართი (ს/კ 29.08.34.014.01.526).

სამსახურის მიერ მომზადებული დოკუმენტაციის საფუძველზე სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით -იჯარის ფორმით გაცემული იქნა :

ქალაქ წყალტუბოში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ( ს/კ 29. 08. 34.018) ნაწილი 3673.23 კვ.მ ა მასზე განთავსებული N 02 შენობა-ნაგებობა -აუზი მდებარე ქალაქი წყალტუბო რუსთაველის ქუჩა N6.

ქალაქ წყალტუბოში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ( ს/კ 29.08.34.091) ცენტრალური პარკის ნაწილი 1952,08 კვ.მ ფართი (ს/კ 29.08.34.064 მომიჯნავედ).

ქალაქ წყალტუბოში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ( ს/კ 29.08.34.091) ცენტრალური პარკის ნაწილი 1216,62 კვ.მ ფართი ( ს/კ 29.08.34.122 მომიჯნავედ).

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირში მდებარე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობის ( ს/კ 29.17.35.013) პირველ სართულზე განთავსებული 18.48 კვ.მ ფართი.

სამსახურის მიერ მომზადებული დოკუმენტაციის საფუძველზე ელექტრონული აქუციონის ფორმით პრივატიზებულ იქნა 4 ერთეული ქონება, ბიუჯეტში შესულმა თანხამ პრივატიზების შედეგად შეადგინა 42 574 ლარმა.

შენობა-ნაგებობების იჯარიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 37028,99 ლარი, ხოლო მიწის იჯარიდან- 43873,75 ლარი, ჯარმებიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 105,90 ლარი.

სამსახურის მიერ ხორცილედება უძრავი და მოძრავი ქონებების მონაცემთა ბაზაში შეყვანა, აღრიცხვა და განკარგვა.

ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური მიერ მოგებული პროექტის საფუძველზე მიღებული 60 000 ევროს ფარგლებში დაიწყება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუნეში, ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმის ეზოში ამფითეატრისა და საპირფარეოს რეაბილიტაცია-მოწყობა.

ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური მიერ მოგებული ადგილობრივი თვითმმართველობის ასოციაციის მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსში თემაზე-„ურბანულ გარემოში არსებული მწვანე სივრცეების ათვისება“-ს ფარგლებში ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-

მუზეუმის ტერიტორიაზე შეიქმნა და მოეწყო საგანმანათლებლო სივრცე, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. გრანტის ღირებულება 20000 ლარი.

სამსახურის მიერ ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება სახელმწიფო რწმუნებულის აპარატიდან შემოსულ წერილებზე მიწის ნაკვეთების პრივატიზებასთან დაკავშირებით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სამსახური ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით, მერის დებულებით, მერის დავალებით და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას.